Diana Tkebuchava
https://orcid.org/0000-0002-4337-3259
Academic Research Coordinator,
BRAMS Institute

The The Spiral of Silence and Media Attempts to Break It

(Abstract)

KEYWORDS: Spiral of Silence, Elisabeth Noelle-Neumann, Media Freedom, Political Expression, Journalism, Democracy, Georgia, United States (USA), Russia, Eka Khoperia, Nazi Shamanauri, Lisa Howard, Dmitry Muratov

The Spiral of Silence (German: Schweigespirale), formulated by Elisabeth Noelle-Neumann in the 1960s and 1970s, proposes that individuals often withhold their opinions when they perceive those views are socially unacceptable, while people who perceive their views as the majority are more likely to express them. At the heart of Noelle-Neumann's thesis lies a profound fear of social isolation, ostracism or marginalisation: the prospect of exclusion frequently outweighs the impulse to articulate dissenting positions. The theory, therefore, explains how apparent consensus may conceal substantial pluralities of belief and how social pressures shape public expression.

Although the spiral of silence is most visible under dictatorial, one-party or otherwise repressive regimes, it operates in democratic contexts as well. Media professionals in democracies can be subject to professional incentives, editorial constraints or social pressures that undermine independent

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

reporting. Without an ingrained commitment to truth, freedom and dignity, no organisation can reliably instil the moral courage required to resist conformity; these virtues must originate in individuals whose professional ethos and personal conviction compel them to speak despite potential costs. Where such commitment is absent or weak, self-censorship and conformity spread, narrowing public debate.

This article examines cases in which the spiral of silence has been confronted within the media spheres of Georgia, the United States and Russia, focusing on salient episodes of the twentieth and twenty-first centuries. Through comparative case studies, it seeks to identify the mechanisms that maintain silence, the triggers that break it, and the institutional and civic measures that can protect and amplify dissenting voices.

In Georgia, the post-Soviet transition and the aftermath of the Rose Revolution reveal both the vulnerability and resilience of media pluralism. Georgian journalists and activists have repeatedly contested official narratives, demonstrating how collective mobilisation, civic networks and public pressure can cultivate a culture that tolerates and even prizes dissent. The 2006 resignation of Eka Khoperia from the talk show *Free Opinion* – chosen rather than comply with government interference – exemplifies principled resistance; by contrast, the tragic fate of Nazi Shamanauri in 1981, who sought to publish a critical article and subsequently lost her life, embodies the mortal risks historically faced by dissenters. These contrasting cases show how courage and repression coexist in an unsteady balance.

In the United States, examples of journalistic resistance against political pressure illustrate different dynamics. Figures such as Lisa Howard, who challenged official narratives and paid professional costs, demonstrate how individual determination,

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

supported by institutional protections and a relatively robust civil society, can mitigate the spiral of silence. Yet even in democratic systems, commercial pressures, partisan polarisation and social ostracism can deter reporters and commentators from confronting powerful actors.

Russia presents a more coercive environment, where state tools – legal designations such as 'foreign agent' labels, economic leverage, regulatory controls, and occasional direct intimidation – are used to constrict independent media space. Nevertheless, courageous journalists and activists continue to contest the official line, often at grave personal risk. The international recognition of Dmitry Muratov with the Nobel Peace Prize in 2021, despite government branding and pressure, symbolises both the socio-political costs borne by dissenters and the enduring moral force of journalistic defiance.

Breaking the spiral of silence requires a combination of individual bravery, institutional safeguards and broader civic support. The cases analysed here indicate that effective resistance typically involves legal protections for press freedom, sustainable funding models for independent media, strong professional norms, media literacy among the public and international solidarity. Such measures lower the social and material costs of dissent, enabling journalists and citizens to voice unpopular opinions without fearing exclusion. Ultimately, a plural public sphere in which diverse voices can be expressed without threat of marginalisation is indispensable to truth, dignity, and democratic health. The Spiral of Silence framework remains a vital analytical tool for understanding why people stay silent and how, through deliberate institutional and civic action, that silence can be broken.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დიანა ტყებუჩავა
https://orcid.org/0000-0002-4337-3259
აკადემიური კვლევების კოორდინატორი,
ბრამსის ინსტიტუტი

დუმილის სპირალი და მისი გარღვევის მცდელობანი მედიაში

საკვანძო სიტყვები: დუმილის სპირალი, ელისაბედ ნოელ-ნოიმანი, მედიათავისუფლება, პოლიტიკური გამოხატვა, ჟურნალისტიკა, დემოკრატია, საქართველო, აშშ, რუსეთი, ეკა ხოფერია, ნაზი შამანაური, ლიზა ჰავარდი, დიმიტრი მურატოვი

დუმილის სპირალის თეორია (გერმ.: Schweigespirale, ინგლ.: spiral of silence) გერმანელმა სოციოლოგმა და პოლიტოლოგმა ელისაბედ ნოელ-ნოიმანმა (1916-2010) შექმნა 1960-1970-იან წლებში.[1] ამ თეორიის მიხედვით, თუ ადამიანი ფიქრობს, რომ მისი მოსაზრება საზოგადოებისთვის მიუღებელია, შესაძლოა თავი შეიკავოს საჯაროდ თქმისგან და დუმილი ამჯობინოს. მეორე მხრივ, თუ ინდივიდის თვალთახედვა მასაში პოპულარულ იდეას ემთხვევა, დიდი ალბათობით, ამის გამო უჩნდება მისი გასაჯაროების სურვილი.[2]

დუმილის სპირალის კონცეპციას საფუძვლად უდევს ინდივიდის საზოგადოებისგან იზოლაციის, თემიდან, საზოგადოებიდან გარიყვის ანდა უმცირესობაში აღმოჩენის შიში. დუმილის სპირალის თეორია განსაკუთრებით აქტუალურია პოლიტოლოგიასა და მასკომუნიკაციაში.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

აქ არაა საუბარი გამონაკლისებზე, პიროვნებებზე, რომლებიც არ ერიდებიან „დინების წინააღმდეგ ცურვას“ და ნებისმიერ სიტუაციაში არ ღალატობენ საზოგადოებისთვის „სიმართლის სიკეთით თქმის“ არისტოტელესეულ პოსტულატს[3] ჟურნალისტიკაში, რომელიც, ამავე დროს, სიტყვით დარწმუნების ხელოვნებაცაა.

სწორედ ამგვარი მიდგომაა პროფესიის არსი, პროფესიული ღირსების ნიშა.[4] სწორედ ამგვარ გამონაკლისებზე შევაჩერებთ ჩვენს გამოკვლევაში ყურადღებას. სწორედ მაღალი დონის ეთიკური ჟურნალისტიკა უქმნის ჩვენს პროფესიას „მეოთხე ხელისუფლებად“ სახელდებული პრესტიჟული საქმიანობის იმიჯს.[5]

ნაზი შამანაური... თუ ვინმეს სახელი უკავშირდება დუმილის სპირალის გარღვევის, დინების წინააღმდეგ ცურვის, უსასტიკესი დიქტატურის ბეტონის კედლისა თუ „რკინის ფარდის“ გარღვევის მცდელობის ტრაგიკულ შედეგს საქართველოში, ეს ამ ახალგაზრდა ჟურნალისტი ქალბატონის სახელია. მისი კონფლიქტი საბჭოთა რეჟიმთან საუნივერსიტეტო ჟურნალისტური განათლების მიღებისა და პრაქტიკულ მედიაში საქმიანობის დაწყებისთანავე დაიწყო, პირველივე სარედაქციო დავალებებიდან.

საბჭოური დიქტატორული რეჟიმის პირობებში, დაპყრობილი უძველესი ქვეყნის, საქართველოს დედა-უნივერსიტეტში მაშინაც, 1970-იან წლებში, კომუნისტური რეჟიმის ბობოქრობის ჟამს, დამოუკიდებლობისა და სიტყვის, აზროვნების თავისუფლებისათვის ბრძოლის მუხტით ზრდიდნენ ღირსეული პროფესორები მომავალ ჟურნალისტებს, უნერგავდნენ სიმართლისა და

BRAMS 2023 Nov
Volume 4, Issue 9
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სამართლიანობის სულისკვეთებას. ეს, ლამის, გმირობის ტოლფასი იყო, მაგრამ ეროვნული დედა-უნივერსიტეტი, ძირითადად, სწორედ ასეთი კადრებით, მადალზნეობრივი პროფესურით იყო დაკომპლექტებული. მერე, „ცხოვრების უდაბნოში“, ყოველი კურსდამთავრებული თავად აკეთებდა არჩევანს. ცხადია, ყველა გმირად არ იბადება და არც ძალუძს სიმართლის დასამკვიდრებლად „დინების წინაარმდეგ ცურვა“, მაგრამ, მეტ-ნაკლებად, ეს უნივერსიტეტული სულისკვეთება ყველა კურსდამთავრებულის სულში ცოცხლობდა.

როგორც ჭეშმარიტ ჟურნალისტს, მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენელს ეკადრება, ნაზი შამანაურიც საუკეთესო კურსდამთავრებულთა შორის იყო და მიუკერძოებლად, პირუთვნელად ამხელდა მანკიერებებს. მას ახასიათებდა კრიტიკული, პრინციპული აზროვნება, რაც, დიდწილად, შეუთავსებელი იყო დიქტატორული სახელმწიფოს მედიაპრაქტიკასთან. თავიდან კრიტიკულ პუბლიკაციებს უბლოკავდნენ, სამსახურებიდან ათავისუფლებდნენ, მაგრამ როდესაც მის დაუოკებელ სიმართლისმოყვარეობას ფრთები ვერაფრით შეაკვეცეს, უსასტიკესად გაუსწორდნენ.

ნაზი შამანაურმა მოიძია და შეაგროვა 200-გვერდიანი უტყუარი დოკუმენტაცია, ფოტოები, ფაქტები, არგუმენტირებული მტკიცებულებანი საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედებებისა, განსაკუთრებით, მის მშობლიურ მთიან რეგიონში. ამ მასალების საფუძველზე, 1982 წელს შექმნილი ნარკვევის რამდენიმე გაზეთში გამოქვეყნების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ახალგაზრდა ჟურნალისტი 14 აგვისტოს, ვაჟაობის სახალხო დღესასწაულზე[6] შეეცადა ტრიბუნიდან გაეცნო

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

შეკრებილი საზოგადოებისთვის თავისი მამხილებელი პუბლიკაცია. სიტყვით გამოსვლის ნებართვა სთხოვა რაიონის ხელმძღვანელობას, რაზეც უარი მიიღო. მიუხედავად ამისა, მან შესაშური სიმამაცე გამოიჩინა, მიკროფონს ხელი დასტაცა, ტრიბუნასთან დადგა და საზოგადოებას მიმართა:

„საშუალება მომეცით გადმოგცეთ, რა უჭირს ან რა ულხინს ვაჟას სამშობლო კუთხეს, მთიელ ხალხს: გუდამაყრის, მთიულეთის, ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობას. ვაჟასადმი პატივისცემა მარტო ვაჟაობაზე შეკრებით, გულზე მჯიღის ცემითა და პატრიოტული ლექსების კითხვით ხომ არ გამოიხატება.

ხალხო, გატყუებენ, ლამაზ-ლამაზ ფერებში ხატავენ ცხოვრებას. სინამდვილეში, კოლმეურნეები დაიმონეს; სასაქონლო გეგმის შესრულების მიზნით, მოსახლეობას მეწველი ძროხები წაართვეს. რა გვეზეიმება? ვაჟა რომ წამოახედოთ, სირცხვილით დაიწვება“.[7]

ნაზი შამანაურს ამ პირველივე სიტყვებზე შეაწყვეტინეს გამოსვლა და გაოგნებული საზოგადოების თვალწინ, დედასთან ერთად პოლიციის მანქანით თბილისში წაიყვანეს საპატიმროში, სადაც დედა-შვილმა ორი დღე დაჰყო. 77-გვერდიანი მამხილებელი ნარკვევი, რომელშიც სული და გული ჩადო და რომელიც, ფაქტობრივად, ჟურნალისტურ გამოძიებას წარმოადგენდა დუშეთის რაიონში მომხდარ ბოროტმოქმედებათა დამაჯერებელი, არგუმენტირებული მტკიცებით, ფაქტებითა და მოსაზრებებით, ცხადია, ჩამოართვეს.

ორი დღის შემდეგ დედა-შვილი უკვე ასათიანის სახელობის ფსიქიატრიული კლინიკის „პაციენტი“ გახდა, განსაკუთრებული აგრესიულობით გამორჩეულ დაავადებულთა პალატაში. დედა-შვილი ერთმანეთს

BRAMS 2023 Nov
Volume 4, Issue 9
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დააშორეს და დაიწყო ჟურნალისტის ხუთთვიანი სასტიკი წამება.

ერთთვიანი დაკვირვების შემდგომ, ნაზი შამანაურს „შიზოფრენიის დიაგნოზი, ბოდვითი ქვეტიპი“ განუსაზღვრეს. შესაბამისად, დუშეთის რაიონულმა სასამართლომ იძულებითი მკურნალობის ბრძანება გასცა. ნაზი შამანაურმა 70-დღიანი შიმშილობა გამოაცხადა. ერთადერთი, რაც ვერ წაგვარეს და აუკრძალეს, წერის უნარი იყო. მან ფურცლის ნაგლეჯებზე, უმძიმეს პირობებში დაწერა დღიურები სახელწოდებით: „ჩემი სიმართლე ჩემი მტერია“.[8]

ჭეშმარიტი მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენელი ჟურნალისტი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი „მკურნალობის“ (რეალურად, პატიმრობის) პირობებშიც ვერ ღალატობდა პროფესიულ ვალდებულებებს. დღიურებს, ცხადია, ჩუმად წერდა, რომ ფსიქიატრიული საავადმყოფოს თანამშრომლებს არ წაერთმიათ.

წამებისაგან გატანჯული და შეურაცხყოფილი, დღიურებში წერდა: „სიცოცხლე ბროლის ჭიქასავით სულ ნაკუწ-ნაკუწ დამიმსხვრიეს და ფეხქვეშ დამიყარეს. დღეს თუ სიკვდილზე ვფიქრობ, არა იმიტომ, რომ დავიღალე ბრძოლით, რომ საცაა თითოეული ძარღვიც კი გასკდება, არამედ იმიტომ, რომ აღარავისი მჯერა ამ ქვეყანაზე... იქნებ ეს ჩემი უკანასკნელი ბარათებია...

უნივერსიტეტის თეთრი ტაძრიდან პირდაპირ ტალახში მისროლეს...“[9]

„ჩემს დღიურებს მთლიანად აგონიაში ვწერდი... მეტი აღარ შემიძლია. ფიზიკური ჯანმრთელობა შენარჩუნებული მაქვს, მაგრამ ფსიქოლოგიურად, მორალურად გამოვიფიტე. ხესმოწყვეტილი ფოთოლივით

BRAMS 2023 Nov
Volume 4, Issue 9
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ვქანაობ. სიკვდილს ვნატრობ... ძალები არ გამომლევია, უბრალოდ, რწმენა დავკარგე. რწმენის გარეშე სიცოცხლე კი უკვე სიკვდილია...“.[10] მისი ვარაუდი სულ მალე გამართლდა. ნაწამები ჟურნალისტი თბილისის მე-9 საავადმყოფოში გარდაიცვალა 1983 წლის იანვარში. ნაზი შამანაურის დაკრძალვას თბილისიდან ჩასული 80-დე ახალგაზრდა დაესწრო.

ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალების მოსვლის შემდეგ, ნაზი შამანაური გმირად გამოცხადდა. ქუჩას, სადაც ის ცხოვრობდა, ნაზი შამანაურის სახელი ეწოდა. შენობა სახლ-მუზეუმად გადაკეთდა. სუკ-ის არქივებში ჩაკარგული ნაზი შამანაურის დღიურები მხოლოდ ეროვნული ხელისუფლების ძალისხმევითა და ზრუნვით გამოქვეყნდა დამოუკიდებელ საქართველოში, ჟურნალისტის გარდაცვალებიდან რვა წლის შემდეგ. როდესაც 1991 წელს შოთა ჭინჭარაულმა შეაგროვა ნაზი შამანაურის დღიურები, თარგმანები და წერილები და გამოსცა წიგნი „ჩემი სიმართლე ჩემი მტერია“, მხოლოდ მაშინ გაიგო ფართო საზოგადოებამ გმირი ჟურნალისტის ტრაგიკული ისტორია. 2011 წლის აგვისტოში მედიაკავშირმა „ობიექტივმა“ ნაზი შამანაურის სახელობის ოქროს მედალი დააწესა. ჯილდო და სიგელები იმ ჟურნალისტებს გადაეცემათ, რომლებიც საკუთარ პროფესიას ერთგულად ემსახურებიან, საზოგადოებას მართალ, მიუკერძოებელ ინფორმაციას აწვდიან და იბრძვიან ადამიანის უფლებების დასაცავად.

დუმილის სპირალის გარღვევის მომდევნო ნიმუში უკვე დამოუკიდებლობადაბრუნებულ, მაგრამ ახალი ტიპის, ნაციონალების არანაკლებად სასტიკი დიქტატურის პერიოდიდან შევარჩიე.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ზოგადად, ზნეობრივი, კლასიკური, მეოთხე ხელისუფლებად სახელდებული ჭეშმარიტი ჟურნალისტიკა და ჟურნალისტი „ზეპარტიულია“; იგი მხოლოდ ერთ „დამკვეთს“ ცნობს და ითვალისწინებს. ესაა — „სიმართლე, სიმართლე და მხოლოდ სიმართლე“; მისი მრწამსი არისტოტელესეული „სიმართლის დამკვიდრებაა სიკეთის სახელით“.[11] მითუფრო, დემოკრატიის გზაზე შემდგარ დამოუკიდებელ სახელმწიფოში, მაგრამ არავისთვისაა საიდუმლო, რომ, არცთუიშვიათად, ჟურნალისტები ვერ რჩებიან ბოლომდე მრწამსის, პრინციპების ერთგულნი. არცთუ შორეულ წარსულში, ნაციონალური მოძრაობის ოპოზიციაში ყოფნისა და მერეც, ამ დიქტატორული რეჟიმის ქვეყნის სათავეში მოსვლის პერიოდში, ტელეკომპანია „რუსთავი-2“ ამ პარტიის რუპორი და დაკვეთების უპირობოდ აღმსრულებელი იყო. ტელეკომპანიის ერთ-ერთი სახე და გამორჩეული პერსონა, ეკა ხოფერიაც, მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვინც, ნებით თუ უნებლიედ, სამთავრობო მედიის მსახურად მოიაზრებოდა და არათავისუფალ გარემოში უხდებოდა ჟურნალისტური მოვალეობის შესრულება, რაც უნდა პარადოქსული იყოს ეს, ამ პროფესიის ჭეშმარიტ არსიდან გამომდინარე, ვიდრე: 2006 წელს იმჟამინდელი ოპოზიციური მედიის მიერ „გვირგვლიანის საქმის“[12] თაობაზე მომზადებული მამხილებელი გადაცემები ნაციონალური ხელისუფლებისათვის საფრთხისშემცველი, არასასურველი დარტყმა არ აღმოჩნდა. საპასუხოდ, „სამთავრობო“ ტელეკომპანია „რუსთავი-2“ შეეცადა, როგორმე გაემართლებინა ეს სასტიკი მკვლელობა. ეკა ხოფერიამ, რომელიც ცალსახად მოიაზრებოდა ნაცმოძრაობის მხარდამჭერ ჟურნალისტად, ამჯერად

BRAMS 2023 Nov
Volume 4, Issue 9
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

„დუმილის სპირალის“ გარღვევა გადაწყვიტა და საკუთარ გადაცემაში განაცხადა: „პირველად ღია ეთერში უნდა გამოსულიყო დათა ახალაია,[13] მაგრამ იყო პირობა, რომ ის უნდა ყოფილიყო ბოლო სტუმარი. ჩემთვის ეს პირობა არის მიუღებელი. ძალიან დიდ ბოდიშს ვუხდი ჩემს ყველა სტუმარს. ვფიქრობ, რომ როცა ქვეყანაში ასეთი მკვლელობა ხდება, მინიმუმ, შინაგან საქმეთა მინისტრი უნდა გადადგეს მაინც. ესაა ჩემი ბოლო გადაცემა“.[14] ამ განცხადებით ჟურნალისტი ღიად დაუპირისპირდა რეჟიმს და მიიღო ღირსეული გადაწყვეტილება, უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დატოვა გადაცემა, ღიად განაცხადა უარი მკვლელობის გამართლების კამპანიაში მონაწილეობაზე და არაორაზროვნად მიუთითა არხის საქმიანობაში მაშინდელი მაღალჩინოსნების უკანონოდ ჩარევის თაობაზე. აქაც, კრიტიკულ მომენტში ჟურნალისტმა გაარღვია „დუმილის სპირალი“ პროფესიონალიზმის, საკუთარი ჟურნალისტური და ადამიანური მორალის, ზნეობის სასარგებლოდ. მოგვიანებით გადაცემა „დროებისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ეკა ხოფერიამ საკუთარი გადაწყვეტილება ასე შეაფასა: „წარმოვიდგინე, რომ ამ გადაცემას უყურებს დედა... სანდროს დედა... ჰოდა, ვთქვი ის, რაც ვთქვი...“[15]

წლობით ტაბუდადებული თემის, პრობლემის ეფექტურად წარმოჩენის ნიმუშია ცნობილი ფსიქოლოგისა და პუბლიცისტის, მეცნიერისა და მკვლევრის, პროფესორ თეიმურაზ ფანჯიკიძის წერილი „თბილისური ტრიპტიქი“,[16] სადაც ავტორი თამამად არღვევს დუმილის სპირალს და ამხელს წინა ხელისუფლების მიერ ჩატარებული განათლების დანაშაულებრივი „რეფორმის“ ტრაგიკულ შედეგებს.

BRAMS 2023 Nov
Volume 4, Issue 9
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სტატიაში მეგობარი-პერსონაჟის თავგადასავალის ექსპრესიულად ჩვენებით, თვალსაჩინოდაა გაშიშვლებული რეალობის პარადოქსები, რაზეც საზოგადოება ათეულწლობით დუმდა. დუმდა მედიაც და, რაც უნდა გასაკვირი იყოს, ახალი ხელისუფლებაც.

ბოლოს და ბოლოს დუმილის სპირალი გარღვეულია, ტაბუდადებული პრობლემა – წარმოჩენილი: „უზომოდ წესიერი, ინტელიგენტი კაცი იყო, მშვენიერი მეცნიერი, თავისი საქმის კარგი მცოდნე, მაგრამ ახალ ცხოვრებას ფეხი ვერა და ვერ აუწყო. პირველად განათლების, სააკაშვილ-ლომაიას ავბედით, სულელურ და მავნე რეფორმას შეეწირა. უნივერსიტეტიდან გაათავისუფლეს. წუხდა, ძალიან დარდობდა და სულ უკვირდა: საქართველოს განათლების რეფორმა, რომელიც უმნიშვნელოვანესია ერის ცხოვრებაში, სანტექნიკოსს როგორ ანდეს და დაავალესო?! უმაღლესი სასწავლებლიდან წამოსვლის შემდეგ, სამწუხაროდ, მისთვის არც სხვა სამსახური მოიძებნა... პენსიის იმედად-ღა დარჩა. ქართული პენსია კი, მოგეხსენებათ, მარტო უზომოდ გაზრდილ კომუნალურ გადასახადებსაც არ ჰყოფნის“.[17]

პუბლიცისტი, თითქოს, მხოლოდ ერთი ადამიანის ყოფით პრობლემებზე აკეთებს აქცენტს, მაგრამ საზოგადოებამ კარგად იცის, რომ მასში, როგორც წვეთში ოკეანის სუნთქვა, აისახება თაობათა პრობლემა, განათლებისა და მეცნიერების სფეროს (შესაბამისად, ქვეყნის) დეგრადირების საფრთხე და, საბოლოო ჯამში, იკვეთება საშური ეროვნული სატკივარი, რასაც შემდგომ კიდეც განაზოგადებს: „ჩემს მეგობარს ამ გასაგები და მრავალი სხვა მიზეზის გამო არ უყვარდა წინა მთავრობა, განსაკუთრებით, მისი ლოზუნგი – 40 წლის

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ზემოთ აღარავინ გვჭირდებაო! მაგრამ მერე ნახა, რომ ახლადმოსული მთავრობაც არ ჩქარობდა ამ მხრივ რაიმეს შეცვლას და გამოსწორებას“.[18] ამგვარად, ლირიკული გმირის სევდიანი თავგადასავალის ჩვენებით ავტორმა სადად და გასაგებად დასვა წლობით დაგუბებული მტკივნეული და აქტუალური პრობლემის გადაუჭრელობის საკითხი. წინ წამოსწია პრობლემა, რომლის მოუგვარებლობაც სწავლისა და განათლების საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ერის ჩამორჩენას გამოიწვევს, რის შედეგებსაც არაერთი დარგი თუ სფერო უკვე იმკის დამოუკიდებლობადაბრუნებულ საქართველოში.

„დუმილის სპირალის“ გარღვევის არაერთი ნიმუშია უცხოურ მედიაშიც.

1960-იანი წლების ამერიკელი ტელევარსკვლავი ლიზა ჰავარდი ჭეშმარიტი მეოთხე ხელისუფლების სიმაღლიდან თავისი დროის საერთაშორისო პოლიტიკური არენის ეპიცენტრში აღმოჩნდა. „ლიზა ჰავარდმა თითქმის მარტომ გასდო უპრეცედენტო ხიდი ფიდელ კასტროსა და ოვალურ კაბინეტს შორის“,[19] წერდნენ მასზე მოგვიანებით. როგორც ცნობილია, ასეთ წარმატებას არ პატიობენ არსად, არავის. არც ლიზა ჰავარდს აპატიეს. თეთრი სახლის ჩინოვნიკები დიდხანს და მონდომებით ცდილობდნენ მის გაჩუმებას. ვერ შეძლეს. მაშინ, ლიზამ დაკარგა სამსახური ABC News-ში... ლიზა ჰავარდის ჰოლივუდური ღიმილით დაწყებული ტელეკარიერა ტრაგიკულად დასრულდა ჟურნალისტური საქმიანობის პოლიტიზირების, მისი სარისკო პრინციპულობის გამო, რასაც მედიასამყაროდან ლიზ ჰავარდის „მგლის ბილეთით“ ჩამოშორება მოჰყვა.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რუსი ჟურნალისტის, ტელეწამყვანისა და „ნოვაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორის, დიმიტრი მურატოვის[20] მთელი მოღვაწეობა „დუმილის სპირალის“ გარღვევაა. მან 1993 წელს რამდენიმე სხვა ჟურნალისტთან ერთად დააარსა პროდემოკრატიული გაზეთი „ნოვაია გაზეტა“.[21] გაზეთმა პოპულარობა მოიპოვა ისეთი საფრთხილო თემებით, როგორიცაა სამთავრობო კორუფცია, ადამიანის უფლებების შეზღუდვა. ამას გარდა, მთავარმა რედაქტორმა გამოაქვეყნა ამერიკისა და რუსეთის ორმაგი მოქალაქეობის მქონე ჟურნალისტის, ანა პოლიტკოვსკაიას[22] კრიტიკული სტატიები. ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის შეფასებით, დიმიტრი მურატოვმა ხელი შეუწყო „ერთადერთი, მართლაც კრიტიკული გაზეთის შექმნას, რომელსაც რუსეთში ეროვნული გავლენა აქვს“.[23] მურატოვს 2021 წელს მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში „გამოხატვის თავისუფლების დაცვისათვის, რაც დემოკრატიისა და ხანგრძლივი მშვიდობის წინაპირობაა“.[24]

„დუმილის სპირალის“ გარღვევა იყო „ნოვაია გაზეტას“ რედაქტორ დიმიტრი მურატოვის მიერ სანობელო მედლის აუქციონზე გაყიდვა და მთელი თანხის უკრაინის დახმარების ფონდში გადარიცხვაც.[25] მან ამ „კომუნიკაციური ქმედებით“ აჩვენა „დინების საწინააღმდეგოდ ცურვის“ უპრეცედენტო მაგალითი, რითაც პროტესტი გამოხატა და, არსებითად, შთამბეჭდავად შეაფასა რუსეთის აგრესია უკრაინაში. დაუსჯელი არც ეს ქმედება დარჩენილა. ოპოზიციური გაზეთის რედაქტორ დიმიტრი მურატოვს მალე ამის შემდგომ ქვეყნის დატოვება მოუხდა. მოგვიანებით, რუსეთის იუსტიციის სამინისტრომ იგი „უცხოეთის აგენტების“ სიაში შეიყვანა.[26]

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ინტერნეტის ეპოქაში გლობალურ ქსელებში წარმოქმნილი პიროვნებათშორისი კავშირები ტრადიციული მასმედიის სამაუწყებლო საშუალებათა გამოყენების ფონზე (მაგ.: ამა თუ იმ გამოცემის მიერ შექმნილ ფორუმზე პუბლიკაციის განხილვის პროცესში), მოსაზრებ(ებ)ის გავრცელებისა და დამკვიდრების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. ციფრულ მედიაში განსაკუთრებით ხშირია „დუმილის სპირალის“ გარღვევის, „დინების საწინააღმდეგოდ ცურვის“, სიმართლის დამამკვიდრებელი ნიმუშები. ამ ტიპის უახლეს მოვლენათა შორის განიხილება ბლოგოსფეროც, სადაც ბლოგერები აზრის (მოსაზრების, კონცეფციის) ლიდერების როლში გვევლინებიან მოცემული ბლოგის ირგვლივ გაერთიანებულ მედიამომხმარებელთა შორის. თუმცა, ეს კვლევის სხვა, სპეციფიური თემაა.

დავასკვნით, რომ „დუმილის სპირალის“ ფენომენი განსაკუთრებით მძლავრობს დიქტატორული, ერთპარტიული, არადემოკრატიული რეჟიმების პირობებში, მაგრამ თუ პიროვნებას, პროფესიონალ მედიამოღვაწეს არ გააჩნია შინაგანი სიმამაცე და საქმის ერთგულება, ზოგადად – სიმართლისმოყვარეობა და პიროვნული თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ღირსების განცდა, ვერანაირი საზოგადოებრივი მოწყობის სისტემა, დემოკრატიული იქნება თუ სხვა, ვერ შესძენს მას ამ თვისებებს. იგი არც დეკლარაციებითა და დადგენილებებით მოიპოვება. ესაა პიროვნული თვისება[27] და ინდივიდის ღირსების, სიმამაცის გამოვლინება.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლიტერატურა ▫ References

1. ნოელ-ნოიმან ელისაბედ (1996). საზოგადოებრივი აზრი: დუმილის სპირალის აღმოჩენა. გერმანულიდან რუსულად თარგმნა ნ. ს. მანსუროვმა, მოსკოვი: „პროგრეს-აკადემია“.
2. Nadare, Maia (2020). *The Media Mill: Political Communication*. Tbilisi: Publishing House Universal, pp. 338-339 (In Georgian).
3. ტყებუჩავა დიანა (2020). მედიატექსტის ბუნება: ფუნქციურ-ტიპოლოგიური ანალიზი. თბილისი: „უნივერსალი“, გვ. 36.
4. ტყებუჩავა დიანა (2010). მასკომუნიკაციის შესავალი. ლექციების კურსი (ელექტრონული ვერსია), მეხუთე ლექცია, თბილისი.
5. Nadare, Maia (2021). *Deontology through the International Media Law*. Tbilisi: Publishing House Universal, pp. 73-75 (In Georgian).
6. ვაჟაობის სახალხო დღესასწაული ყოველწლიურად იმართება ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, მწერლის, პოეტის, პუბლიცისტისა და პედაგოგის, ვაჟა-ფშაველას (დ. 14 (26) ივლისი, 1861 – გ. 27 ივლისი (10 აგვისტო), 1915) მშობლიურ სოფელ ჩარგალში (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ზღვის დონიდან 1200 მ. ღონისძიება მთელი დღის განმავლობაში გრძელდება. ტარდება სადღესასწაულო ტურნირი ქართულ ჭიდაობასა და მკლავჭიდში. იმართება ტრადიციული სადღესასწაულო დოღი – „ვაჟაობის მხედარი“; ასევე, ფარიკაობა, ქადის გატეხვის ტრადიციული ცერემონია და ლუდის დალოცვის უძველესი რიტუალი. ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის ეზოში იმართება გამოფენა, ესეების კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოება, ფოლკლორული ანსამბლ(ებ)ის კონცერტი და სხვ.
7. შამანაური ნაზი (1991). ჩემი სიმართლე ჩემი მტერია. თბილისი: „კიდევაც დაიზრდებიან“.
8. იქვე.
9. იქვე.
10. იქვე.
11. ტყებუჩავა დიანა (2020). მედიატექსტის ბუნება: ფუნქციურ-ტიპოლოგიური ანალიზი. თბილისი: „უნივერსალი“, გვ. 36.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

12. სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმე – ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული კრიმინალური ფაქტი საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომელიც 2006 წლის 28 იანვარს მოხდა. [იხ.: ბარათაშვილი ელენე (27 ივნისი, 2006). თბილისის საქალაქო სასამართლოში სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის განხილვა დაიწყო. რადიო „ამერიკის ხმა“. http://www.voanews.com/georgian/archive/2006-06/2006-06-27-voa7.cfm // Case of Enukidze and Girgvliani v. Georgia (2011, April 26). 25091/07. <https://hudoc.echr.coe.int/tkp197/viewhbkm.asp#{%22itemid%22:[%22001-104636%22]}> // სტრასბურგის სასამართლოს განაჩენი გირგვლიანი საქმეზე (26 აპრილი, 2011). სივილ ჯორჯია. https://old.civil.ge/geo/article.php?id=23925 // უზენაესი სასამართლოს მიერ გირგვლიანის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების ანალიზი სასამართლოს პრაქტიკის ფონზე (13 აგვისტო, 2019). უფლებები საქართველო. https://www.rights.ge/ka/accountnew/13]
13. დათა ახალაია – საქართველოს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ) უფროსი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე; 2009 წლის 28 აგვისტოდან 2012 წლის 4 ივლისამდე საქართველოს თავდაცვის მინისტრის და 2012 წლის 4 ივლისიდან 20 სექტემბრამდე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ბაჩანა (ბაჩო) ახალაიას უმცროსი ძმა. [იხ.: სასამართლომ დათა ახალაია დამნაშავედ ცნო სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების საქმეზე (29 ოქტომბერი, 2018). რადიო „თავისუფლება“. https://www.radiotavisupleba.ge/a/29569959.html]
14. 2006 წლის 6 ივლისს თოქ-შოუს „თავისუფალი თემა“ ტელეწამყვანმა ეკა ხოფერიამ „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში თანამდებობა დატოვა [იხ.: https://www.youtube.com/watch?v=afH8biEvpFk] // ეკა ხოფერია თავისი გადაწყვეტილების მიზეზებზე საუბრობს (7 ივლისი, 2006). სივილ ჯორჯია. https://old.civil.ge/geo/article.php?id=13063?id=13063
15. ეკა ხოფერიასთან ინტერვიუ, გადაცემა „დროება“ (2006).

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

16. ფანჯიკიძე თეიმურაზ (30 ივნისი, 2023). თბილისური ტრიპტიქი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, გვ. 7.
17. იქვე.
18. იქვე.
19. ტყებუჩავა დიანა (2020). ლიზა ჰავარდის კულისებსმიღმური დიპლომატია. ჟურნ. „ბრამსი“, 1(2), გვ. 18-35.
20. Dmitry Muratov – Editor-in-Chief of *Novaya Gazeta* (Russia). In: Tikkanen, Amy (2022, July 11). Dmitry Muratov: Russian journalist. Britannica. https://www.britannica.com/biography/Dmitry-Muratov
21. *Novaya Gazeta* [https://novayagazeta.ru]
22. Nadare, Maia (2008). *Breaking the Fourth Wall*. Tbilisi: Publishing House Universal, pp. 169-180 [„კრავთა დუმილი ველიკორუსულად“] (In Georgian).
23. CPJ to honor five journalists: Dmitry Muratov, Mazhar Abbas, Adela Navarro Bello, Gao Qinrong, Tom Brokaw (2007). <https://cpj.org/awards/muratov-2/>
24. The Nobel Peace Prize 2021 was awarded jointly to Maria Ressa and Dmitry Andreyevich Muratov “for their efforts to safeguard freedom of expression, which is a precondition for democracy and lasting peace” (2021). In: The Nobel Peace Prize 2021. NobelPrize.org. Nobel Prize Outreach 2022. Mon. 5 Dec 2022. <https://www.nobelprize.org/prizes/peace/2021/summary/> // https://www.nobelprize.org/prizes/peace/2021/muratov/facts/
25. Reuters (2022, March 22). Russian Nobel Peace Prize winner donates medal to fund for Ukrainian refugees. Reuters.com. https://www.reuters.com/world/europe/russian-nobel-peace-prize-winner-donates-medal-fund-ukrainian-refugees-2022-03-22/ // Associated Press (June, 2022 20). Nobel sold for Ukrainian kids shatters record at $103.5M. *Politico*. https://www.politico.com/news/2022/06/20/nobel-sold-for-ukrainian-kids-shatters-record-at-103-5m-00040871
26. ტყებუჩავა დიანა (2020). მედიატექსტის ბუნება: ფუნქციურ-ტიპოლოგიური ანალიზი. თბილისი: „უნივერსალი“.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)